საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7088
21/11/2022

7088-21-2-202211211102

**შპს „თბილისი ჰესს“**
**მის:** ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 29, IV სართული
ელ. ფოსტა: r.dudolenski@cross-cap.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N 4276 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მდ. მტკვარზე 20,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (თბილისი ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს 2022 წლის 3 ნოემბრის N21/1947 წერილით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია სათანადოდ/სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული. ამასთან, გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის ტექსტურ ნაწილში დაკონკრეტებას საჭიროებს ნაპირსამაგრი ნაგებობების რაოდენობები, კერძოდ ცხრილის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი ნაპირსამაგრი ნაგებობების პარამეტრები და ადგილმდებარეობები. ამასთან ნაპირსამაგრი ნაგებობების სიგრძე და განთავსების ადგილები თანხვედრაში უნდა იყოს shp ფაილებთან;
- გზშ-ის ანგარიშში 4.1.1.2 პარაგრაფში მითითებულია, რომ გამყვანი არხის სიგრძეა 840 მეტრი, ხოლო 4.1.5.2 პარაგრაფის მიხედვით, არხის სიგრძე იქნება 792 მეტრი, ხოლო shp ფაილების მიხედვით, გამყვანი არხის სიგრძეა 800 მეტრი. დაზუსტებას საჭიროებს გამყვანი არხის სიგრძე, აღნიშნულის გათვალისწინებით ასევე დაზუსტებული უნდა იქნეს გამყვანი არხის ნაპირსამაგრი ნაგებობის სიგრძე;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო მოედნის მარჯვენა ნაპირის მიმდებარე ტერიტორიის დეტალური ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევა წყალსაცავის შექმნის შემდეგ გრუნტის წყლების დონის (დეპრესიის მრუდის) აწევის ჩვენებით და მისი ზეგავლენა არსებულ ჰიდროლოგიურ ქსელზე (ბუნებრივსა და ტექნიკურზე);
- წარმოდგენილი იქნეს სადრენაჟო სისტემის საპროექტო დოკუმენტაცია (სათანადო ანგარიშებით), რომელმაც უნდა უზრუნველყოს წყალშეტბორვის ზონაში

ფერდობიდან ჩამონადენის გაყვანა ქვემო ბიეფში და ტერიტორიის დაცვა დაჭაობებისაგან;

- წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალსაცავის დალამვის პროგნოზი და მისი გარეცხვის რეჟიმები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის ორი თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო